რედაქცია
...ველის პროსპექტზე თ. ი. მუხრანსკის სახლებ... ქვემოთ.
ხელის-მოწერა
...მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუ... ...ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ...ნებისთვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редак... „Дроэба“.
„დროების“ ფასი:
...წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
...თვისა . . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ... ასოზე ნახევარი კაპ., წვრილმანი ... ...ზე 8 კაპ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკან ვერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადება მიიღება ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

დღეს, 3-ს ივნისს, შესრულდება ორმოცი დღე უუგრწყინვალესის თავადის ირაკლი ალექსანდრეს-ძის გრუზინსკის გარდაცვალებისა და ამ დღეს სიონის კათედრალურ სობოროში იქნება წირვა და პანაშვიდი მიცვალებულისათვის. დაიწყება დილის 11 საათზე.

(2—2)

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

...პეტერბურღი, 1 ივნისს. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია უმაღლესად დამტკიცებული წესდება საგლეხო სადგილ-მამულო ბანკისა. ამ წესდებას კავკასიის იქითა მხრისთვის, ...ბირისა, პოლშისა და ბალტიის ...ზღვის ნაპირა გუბერნიებისათვის ძალა არა აქვს.

...დღეს, 12 საათზე, ზარბაზნის სროლამ აუწყა პეტერბურღის მცხოვრებთ მშვიდობით განთავისუფლება ...ხელმწიფე იმპერატრიცისა, რომელსაც ...დილის 4 საათზე ეყოლა ქალი. ახალ ...დაბადებულს სახელად ოლგა დაერქვა.

ალექსანდრია (ეგვიპტე), 1 ივნისს. ...ქვეყნის ხალხმა დიდი უწესოება მოახდინა. 129 ევროპიელები მოჰკლეს ...და მძიმედ დასჭრეს; სხვათა შორის, მძიმედ დაჭრილია ინგლისის ელჩის ...სტამბოლიდამ გამოგზავნილი ოსმალოს ემისარი დერვიშ-ფაშა კაიროდამ ალექსანდრიაში მოდის. მთელი ეგვიპტე აღელვებულია.

პეტერბურღის ბირჟა, 1 ივნისს.

| | | |
|---|---|---|
| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
| პირველი გამოცემისა — | 94 | 50 |
| მეორესი — — — — | 90 | 25½ |
| მესამესი — — — — | 90 | 62 |
| მეოთხესი — — — | 90 | 37½ |
| მეხუთესი — — — | 90 | 12 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 89 | 62 |
| აღმოსავლეთის მეორე | 89 | 62 |
| აღმოსავლეთის მესამე | 89 | 12 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8 | 7 |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | | |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 217 | 50 |
| მეორე სესხის — — | 210 | 75 |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 24—37 | პენსი |
| ჰამბურღი — | 208— „ | ცენტი |
| პარიჟი — | — 256— „ | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |

## საყურადღებო შედარება

ტფილისი, 2 ივნისს.

ქვემოთ, დღევანდელ ნომრის „დღიურში“ მკითხველი ნახავს გაზეთის „არძაგანქიდან“ ამოკრებილს ზოგიერთ სტატისტიკურ ცნობებს სომხურ სასწავლებლებზე.

ჩვენთვის, ქართველებისათვის, განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს ეს ცნობები. იქიდამ დავინახავთ, რომ ამ ორმოც-და-ათის წლის წინათ სომხებს რუსეთში ჰქონიათ სულ 14 სასწავლებელი და ამ თოთხმეტიდამ კავკასიაში მხოლოდ 5. მარტო 1881 წელს კი, ე. ი. ორმოც-და-ათის წლის შემდეგ, მთელს რუსეთში სომხებს ჰქონიათ სულ 330 სხვა-და-სხვა გვარი სასწავლებელი!

ნუ დაივიწყებთ, რომ ყველა ეს სასწავლებელნი სომხების ხარჯით არიან გამართულნი და საყურადღებოც მხოლოდ ეს არის; ამათ შესანახავად სომხობა მუდამ წელიწადს ნახევარ მილიონ მანეთზე მეტს ხარჯავს (562,899 მან.).

ახლა ვიკითხოთ: ჩვენი საზოგადოება ნეტავი რამდენს ხარჯავს წელიწადში თავის მომავალ თაობის, თავის შვილების გასაზრდელად? რამდენს ხარჯავს განსაკუთრებით ესრედწოდებული მაღალი საზოგადოება, მოწინავე პირნი ჩვენი ერისა, თავად-აზნაურობა, რომელსაც ყველაზე უკეთ უნდა ესმოდეს სწავლისა და განათლების საჭიროება?

ქართველობა უმთავრესად ორს გუბერნიაში ვცხოვრობთ: ტფილისისა და ქუთაისის. რიცხვით მეტი თუ არა, ჩვენში და რუსეთში მცხოვრებ სომხებზე ნაკლები არა ვართ. სამწუხაროთ, ხელად არა გვაქვს დაწვრილებითი სტატისტიკური რიცხვები იმის თაობაზედ, თუ ამ ორს გუბერნიაში რამდენი სასოფლო სკოლაა გამართული და ყველა ამ სასწავლებელზე წელიწადში რამდენი იხარჯება. დაახლოებული რიცხვი რომ მივიღოთ ტფ. და ქუთ. გუბერნიებში სულ 150-ზე მომეტებული სასოფლო სკოლა არ იქნება, ე. ი. ისეთი სკოლა, რომელსაც ხალხი ინახავს თავის ხარჯით. თითოეულ სკოლაზე რომ წელიწადში ორმოცი თუმანი ხარჯი ჩავაგდოთ, გამოვა, რომ ჩვენი გლეხ-კაცობა სულ ექვსი ათას თუმანს (60,000 მან.) ხარჯავს წელიწადში თავის შვილების გასაზრდელად.

თუმცა ეს დიდი ფული არ არის თითქმის ერთ მილიონ ხალხისათვის, მაგრამ, თუ ჩვენი გლეხ-კაცობის სიღარიბეს და იმის ათას გვარ გადასახადს მივიღებთ მხედველობაში, ეს რიცხვი მაინც-და-მაინც მცირე რიცხვად არ უნდა მოგვეჩვენოს.

ახლა ჩვენი დაწინაურებული საზოგადოება, ჩვენი თავად-აზნაურობა. ამათ რაღა მსხვერპლი მოაქვთ, ესენი რაღას სწირავენ, რას ხარჯავენ თავიანთ შვილების გასაზრდელად? როგორც მოგეხსენებათ, ჯერ-ჯერობით, ჩვენი თავად-აზნაურობის ხარჯით და თაოსნობით, მხოლოთ ორი სააზნაურო სკოლაა გამართული, ერთი ტფილისში და ერთიც ქუთაისში და ერთიც „წერა-კითხვის საზოგადოების“ სკოლა ბათუმში, და ყველა ამაზე წელიწადში ოთხი ათას თუმნამდინ ეხარჯება თავად-აზნაურობას.

მაშ სადამე გამოდის, რომ როდესაც ჩვენი მეზობელი სომხები წელიწადში თითქმის სამოცი ათას თუმნამდინ ხარჯვენ თავიანთ შვილების აღსაზრდელად, ჩვენ, ქართველები, ამავე საგნისათვის ათი-ათას თუმანს ძლივს ვიმეტებთ! და ამის შემდეგ კიდევ გავიძახით:—განათლებისათვის არაფერს ვზოგავთო!

მოგვყავს ერთი თავის-გასამართლებელი საბუთი—ჩვენ ღარიბი ვართ და სომხები კი მდიდრებიო—და ამით ვინუგეშებთ, ვიმართლებთ თავს! ტყუილი საბუთია! მართალია, ჩვენ სომხებზე უფრო ღარიბები ვართ, მაგრამ მხოლოთ ფულით. მაგიერად მიწა-წყალი, ადგილ-მამული ჩვენს ხელშია და ესეც ხომ ფულია, ესეც ხომ სიმდიდრეა!

საქმე იმაშია, რომ ამ უკანასკნელ

„დროების“ ფელეტონი, 3 ივნისი.

### ტყვე სასტიკის ზამთრისა

...ზნევარ ოთახში კარებ დახშული,
...ელი ზამთარი ტყვეობაში ვარ,
...რნე მიხდილი, გულ-დაჩაგრული,
...თხის კედლის მონებაში ვარ!

...ულს ვგრძნობ ჯაჭვით შებორკილებულს...
...ი ფიქრი მაქვს სამწუხარი:
...მკვდარსა ვგევარ მე გაყინებულს,
...ულს მიბრუნებს, მათბობს ბუხარი.

...ამხანაგო, მარტოთ ვაგდივარ,—
...რ გაუძლებ მე მარტოობას?
...სხვა მოდის და ვერც მე გავდივარ;
...ოდა თავი, ვსწყევლი დროებას!

...ზოგნი კი ერთომც მიგდებენ ყურსა,
...შემეწიონ, აქვთ ეს სურვილი,
საზრდოთ მაძლევენ მე შავსა პურსა;
მაგრამ ხან-და-ხან მტანჯავს წყურვილი.

თუ კი ოდესმე მაინც მოვისმენ,
შემისრულებენ გულის პირობას
წყურვილს ავიტან, შიმშილს მოვითმენ,
ყინვას გაუძლებ და პატიმრობას!

მაგრამ რას ვხედავ მე ფანჯარითა:
ქვეყნად თოვლი სძევს, წყრტის ზომა სამი,
სახლი ირყევა მძაფრის ქარითა
და გვემუქრება ზამთრისა ჟამი!

თან-და-თან მოდის სეტყვა და ბუქი
ჰაერი ვრგვინავს, შემომწყრალია,
მზეს დაუკარგავს თავისი შუქი
არცა სითბო აქვს, არცა ძალია!

შორით გვექადის ზღვა ღრიალებით,
იბრძვის საშიში ჰექა, ქუხილი,
ხალხი იღუპვის, ვხედავ წვალებით,
ისმის იმათგან დიდი წუხილი!

ალარვინ არის მოძრაობაში,
ბარის და მთების გზა შეკრულია
ყველა იტანჯვის ამაობაში
მდინარეებიც გაყინულია.

ტყეები შავად გადამხმარია,—
მწვანე ფოთლები არ ამშვენებენ;
ბაღის ნაყოფი ყველა მკვდარია,
ვარდსა ბულბულნი აღარ დაჰყეფენ...

ერთ დროს განთქმული დიდებულს
მხარედ,
ქებულის ხალხის შვილი ყოველი
. . . . . . . . . . .

ღვთისა დედაო, შენ დაიხსენი
. . . . . . . . . . .

მზეს დაუბრუნე თავისი სხივი
სამიში სხივი გააქარ-წყალე,
განაცხოველე ჰაერი ცივი,
ამით უშველე და შეიწყალე.

ღმერთო, მისმინე ეს სათხოველი,
ჩემზედ დაატკბე შენ გულის წყრომა,
კვლავ დაუბრუნე იმათ ყოველი,
რაც კი წაართვა სასტიკმა დრომა.

მოეც ბაღები ანამწვანები,
აკმარე დასჯა, ნუ დასცემ ზარსა,
უბოძე უხვად თავის ყანები,
ნუღარ აქროლებ იმაზედ ქარსა.

განათლებისა მოეც საუნჯე,
განუმახვილე გრძნობა და სმენა;
თვითეულს გულში ეს დააუნჯე,
რომ არ დაჰკარგონ სამშობლო ენა.

დანერგე მათში ნიჭი ძმობისა
და სიყვარული მამულისადმი,
კვლავ უტყუარი ხმა ერთობისა
და მორჩილება მარად ღვთისადმი.

თუ მელირსება მეც გაზაფხული,
ზამთრის ყინვები არ მაშინებდეს

დროს მართალია, ჩვენ ცოტა არ იყოს განათლებას გემო შევუტყვეთ, მაგრამ არც ისე, როგორც სომხებმა. ისე სომეხი არ მოკვდება, რომ შეძლებისა-და-გვარად ცოტა რამ მაინც არ შესწირონ სკოლას, განათლების საქმისათვის; სომეხს ვერ ნახავთ, რაც უნდა ღარიბი იყოს, ორი სამი მანეთი მაინც რომ არ გადადვას წელიწადში თავის სამრევლო სასწავლებლის სასარგებლოდ. ჩვენში ბევრი მოინახება ამისთანები? ათასში ათი თუ მოსძებნეთ, რომელიც ორ მანეთს აძლევს სახალხო განათლებისათვის ისიც ბევრია; დანარჩენი ოთხას ოთხმოც-და-რვა კი მთავრობას შესჩერებია და ყველა სიკეთეს იმისაგან გამოელის!

## დღიური

აი ის ცნობანი სომხურ სკოლებზედ, რომელზედაც დღევანდელ წინა სტატიაში ვლაპარაკობთ:

„1830 წელს რუსეთის ქვეშევრდომ სომხებს ჰქონდათ სულ 14 სკოლა, ამათში 5 კავკასიის მხარეში და დანარჩენი 9 კი რუსეთის სხვა-და-სხვა ქალაქებში.

„ოც-და-ათის წლის შემდეგ, ესე იგი 1860 წ. მთელს რუსეთში 40 სომხის სასწავლებელი იყო გამართული და ამათგან 29 კავკასიაში. საქალებო სასწავლებელი მაშინ არც ერთი არ ჰქონიათ სომხებს.

„1870 წ. ეს რიცხვი 138-ად გარდაიქცა, რომელთაგან 127 სავაჟო სასწავლებელი იყო და 11 ქალებისათვის.

„შარშან, 1881 წელს, რუსეთში ითვლებოდა სულ 330 ყოველ გვარი სასწავლებელი, ამათში 247 ვაჟებისა და 83 ქალებისათვის.

„ყველა ამ სასწავლებლიდამ მხოლოდ სამი ითვლება სახელმწიფო სასწავლებლებად: ლაზარევისა (მოსკოვში), ალაბაბიანცის (ასტრახანში) და გრიგორიოპოლის (თერგის მაზრაში) თუმცა ეს სამი სასწავლებელიც სომხებისაგან შეწირულ ფულებით არიან გამართულნი და არსებობენ. დანარჩენი 327 სასწავლებელი კი არსებობენ ეჩმიაძინის მონასტრის ხარჯით.

„ამ 327 სასწავლებელში ირიცხება 832 მასწავლებელი და 16,877 შაგირდი. წელიწადში ყველა ამ სასწავლებლებზე 562,899 მან. იხარჯება.“

* * *

ამ ორშაბათისათვის დანიშნული მორიგი კრება ქალაქის რჩევისა ვერ შესდგა, რადგან კანონიერი რიცხვი ხმოსანებისა (24) არ მოგროვდა.

* * *

ჩვენ გავიგეთ, რომ დღეს, ხუთშაბათს, არწრუნის თეატრში იქნება გამართული წარმოდგენა რუსულს ენაზე, რომლის შემოსავალი არის დანიშნული ერთ ღარიბ შაგირდის სასარგებლოდ. სასურველია, რომ ამ ქველ-მოქმედების მიზნით გამართულს წარმოდგენაზე ბლომად დაესწროს ხალხი და მით ღარიბ მოსწავლეს შემწეობა აღმოუჩინონ.

* * *

სოფ. საგარეჯოდამ გვწერენ:

„ბაქოდამ ტფილისში დაბრუნებაზედ მთავარ-მმართველმა გამოიარა სიღნაღზედ. ამით ისარგებლეს ივრის ხეობის სოფლებმა და მოემზადნენ ივრის ხიდზედ დასახვედრად. ეს ხიდი წინა დღითვე მომზადებული იყო შემთხვევის შესაფერისად: თავსა და ბოლოს სატრიუმფო არკები იყო შეკრული მუხისა და ფათალოს ფოთლებისა, აგრეთვე მოაჯარი იყო მორთული ფოთლების გირლანდებითა და ყველა ეს დროშებით შემკული და მისი ბრწყინვალების ვენზელებითა; ხოლო დედა-მიწა მოფენილი იყო მინდვრის ყვავილებითა. საზოგადოდ მშვენივრად და ხელოვნურად იყო მორთული ხიდი.

„ამ ხეობის დიდმა სოფლებმა, საგარეჯომ და პატარძეულ ბერთ-უბანმა, საკუთარის თაოსნობით გადასწყვიტეს, ყრილობითა, მისი ბრწყინვალებისათვის სალამისა და პურ-მარილის მირთმევა.

„აღგილობრივი მთავრობის განკარგულებით, წინა დღით, ე. ი. 15 მაისს მოგროვდნენ სოფლების წარმომადგენელნი ხიდზედ; აგრეთვე მოვიდნენ მთავარ-მმართველის პატივსაცემლად ამ ხეობის კეთილშობილთაგანნიცა. მეორე დღეს, კვირას, 16 მაისს, მთავარ-მმართველი მობრძანდა ხიდზედ პირველ საათზედ. სოფლის წარმომადგენელნი დარაზმულნი ერთ მხარეს და კეთილშობილობა მეორე მხარეს—წარუდგინა მისს ბრწყინვალებას ბ. მაზრის უფროსმა თ. ერასტი ჩოლოყაშვილმა. მაშინ მიართვეს სოფლებმა პურ-მარილი და ღვინო (ქართულად) და სალამი მოახსენეს. მისმა ბრწყინვალებამ ინება პურ-მარილის მიღება და ღვინოც მიირთვა. შემდეგ დაუწყო მათ საუბარი მოსავალზედ, ამინდზედ და სხვ. მას უკან ჩამოართვა სოფლის დეპუტატებს არზები და იმ არზების სათხოვარ საგნებზედ ესაუბრა. ზოგი სათხოვრის შეწყნარება მაშინვე აღუთქვა და ზოგზედ-კი, რომელნიც საზოგადოდ მიღებულ წესის შეცვლას მოითხოვენ, მაგ. ჭაჭის თავისუფლად გამოხდა, მთის იჯარით გაუცემლობა და სხვ., იმაზედ უბრძანა, რაც შეიძლება შევისრულებთო. შემდეგ გამოესალმა ხალხს და ქვეითად გაიარა ხიდი ხალხის „ურასა“ და „გაღლეგრძელოს“ ძახილში, იქ ჩაბრძანდა კარეტაში და გამოეშურა ტფილისისკენ.

„სამი არზა მიართვეს სოფლებმა: ერთი—საგარეჯომ, მეორე—პატარძეულ-ბერთუბანმა, თავის დეპუტატების ხელით სოფლის ყრილობის დადგენილობით შედგენილი და ქართულად დაწერილი; მესამე არზა იმ ხეობის დანარჩენი სოფლების სუდიამამასახლისებმა მიართვეს, რადგან ყრილობის მოხდენა ველარ მოესწროთ—თავიანთ სოფლების სახელობით, რუსულ ენაზედ დაწერილი. ამ სამივე არზის სათხოვარი თითქმის ერთი და იგივე იყო, რადგან გარემოება თითქმის უმეტ-ნაკლებოთ ერთი აქვსთ იმ ხეობის სოფლებსა“.

ამ არზას ხვალინდელს ჩვენს
ზეთში ნახავენ მკითხველნი.

## „დროების“ კორრესპონდენცია

სოფ. აგარაკო, 25 მაისს.
გორც იყო თავიდგან მოეშ
ხანგრძლივი ზამთარი, რომელმაც
ვალი საქონელი იმსხვერპლა.
ვიდგა გაზაფხული მაისიდგან
საშინელი წვიმიანი და ცუდის
როსით. ჯერეთ რიგიანი დღე
გამოსულა, სულ წვიმები და
ღლიანი დღეებია; ადამიანს გეზრ
ბა სოფელში ცხოვრება, გარეთ
ლახი და ბევრ სახლებშიაც უკ
ჰფიქრობს საით წავიდეს, სად შე
როს თავი?

ან ამისთანა დროს რა გააკე
მუშა კაცმა? გაზაფხულის თესლ
ლობა ჯერ კიდევ დარჩენილია
არის დათესილი. თუმცა ხალხი
ლიან შეწუხებულია ამისთანა
წყვეტელი ავდრებით, მაგრამ მის
ცვლათ საქონელი ხარობს:
შიმშილი და შეწუხება ზამთარში
მოიარა, ახლა მშვენიერის მინდ
ბალახებით ხარობენ.

მოსავალი პურისა და სინ
უხვი იქნება, თუ ახლა ავდარმა
დაგვანება და თუ ესე გაგრძელდა
დევ ერთი კვირა, მაშინ ეჭვი
არის, რო პურის მოსავალი სრულ
ბით მოსცდება. ყანები ახლა ძალ
მაღალია, ავდარი ჩაჰქელავს და
თავი შარცვალს სრულებით ვერ
გაიკეთებს, აიჩალება. თუ ასე იქ
ივრის ხეობის ხალხი სრულიად
ღუპება. ამ წარსული ოთხი
განმავლობაში, ხან პური არ
დიოდათ და ხან ღვინო. ამისა
საშინელი უფულობაა ჩამოვარდნილ
რას გაძორჩეს აქაური გლეხი? ამ
ცხოვრების სახსარი პური და ღ
ხოა.

საშწუხაროთ ჩვენდა, ჭაინც კ
არ დააკლო უფალმა თავისი რი
და 23-ს მაისს საღამოს მოგვევლ
საშინელი მსხვილი სეტყვა, რომელ

---

და სანატრელი ცხელი ზაფხული
თავის მწვანეზედ მიპატიჟებდეს,—

მაშინ ოთახში არც მე დავსდგები:
დავამტვრევ ჯაჭვებს პატიმრობისას,
გარედ გამოვალ და გავმხნევდები,
შლელს გავუწევ მოძმეს ძმობისას!

მაშინ სამშობლოს კეთილ-დღეობას
მივეგებები ტრფიალებითა
წარსულსა ტანჯვას და ჩემს ტყვეობას
მასვე დავუთმობ ნეტარებითა!

თ. სიმონ გუგუნავა.

## „შრომა“ და „იმედი“ *)

თითქმის ყოველ გან და ყოველთვის ჩვენს ცხოვრებაში ჰსუფევს ორგვარი უკიდურესობა: ყოველისფერი ან უნდა აღმერთო, ან მიწასთან ასწორო; საშუალო გზაზედ გავლა არ შეიძლება, რაგინდ სწორე იყოს ეს, თუგინდ ორივ გზები მას ეყრებოდნენ. თუ ვინმე ჩვენგანი გადვიდა თავის გზას, ის უეჭველად მეორე იმ გვარსვე უკიდურეს გზას დაადგება.

მაგ., თუ შემხვედრია პოლიციის მოხელე, იმას უეჭველად უთქვამს, მარტო პოლიცია ქვეყნიერებისთვის ბედნიერების მომცემიო; თუ შემხვედრია ვინმე სამსაჯულოს წევრი, ამასაც ასე დაუქნევია თავი: ქვეყნის დავიდარაბის მოსპობა ჩვენი საქმეაო, ქვეყნის ტვირთი ჩვენს კისერზედ წევსო; თუ მასწავლებელი ვინმე ყოფილა, ამასაც მარტო თავისი ხელობა შეუქია; ვაჭარზედ რაღა მოგახსენოთ: ჩვენ რომ არ ვიყვნეთ, ნეტა ქვეყნიერობას რა ეშველებოდაო? მაგრამ უფრო სამარცხვინო ის არის,—დღეს მასწავლებელს თუ შეჰხვედრია პოლიციაში შესვლა, მაშინვე გუშინდელს მითომ-და თავის რწმენაზედ ცივი უარი უყვია, და სულ პოლიცია და პოლიცია უქია. აგრეთვე, თუ პოლიციის ვისმე ჩინოვნიკს პედაგოგობა უწყვია, ამასაც ამ ნაირი ქცევა გამოუჩენია.

ერთის სიტყვით, ჩვენს ცხოვრებაში დღე-ძუდმივ ვხედავთ გაუწყნარებელს ერთმანეთის გაკიცხვას, ერთმანეთის დაბრძავებას. არ მახაოვს, რომ ვისმე ჩვენგანს თავის მოწინააღმდეგეშიაც კაცი ეცნოს, ან თავის მეგობარში ნაკლულევანება. იმის მაგალითები კი ათასობით არის, რომ დღეს თუ გუშინდელს ჩვენს მეგობართან, ჩვენგან ცათამდე აყვანილს კაცთან, მცირედი უსიამოვ
მოგვსვლია, ანუ ჩვენს ვიწრო მო
დების რკალს გადასულა ის, მაშ
არ ჩამოგვერთმიოს მისთვის კ
ღირსება და იუდასთან ერთად
გვეგმოს. მოვყოლივართ მის უ
უკლოდ სიარულზედ ლათაიობას,
ტვინის და ზნეობის სიხავსეზედ
იძლენი გვიყვირია, მინემ არ ამო
ჭამია.

რაც ჩვენია—ყველა კარგია.
დედა-აზრი ჩვენის ცხოვრებისა.

სწორედ ამ გზასვე მისდევს
ჟურნალ-გაზეთობა ანუ ლიტერა
რა. ჩვენ გვაბადია ორი ჟურნალი
ორი გაზეთი. ყველა ამათგანს ამო
ჩევია საკუთარი გზა, ზოგს უგზო
და საითლაც მიჰქროლავენ. ამა
თუ ყველა იმათგანს, თითქმის მათ
მწერლებსაც ყველას საკუთარი
ლისმანი მოუპოვებია ქვეყნის
ბედნიერებად. ამისთვისაც არის,

---

*) ჩვენ არ ვეთანხმებით ზოგიერთს ამ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნაში გამოთქმულ აზრებს; მაგრამ მაინც ვბეჭდავთ, რადგან ჩვენს ლიტერატურაში ერთობ იშვიათია საზოგადოდ კრიტიკული შეხედულობა ახლანდელს მწერლობასა და მწერლებზედ.

რედ.

...იყო მტრედის კვერცხის ოდენა. გამოჰყვა ხაშმიდგან და ზოგიერთი სოფლები, მაგალითად მულანლო და სართისჭალა, ძალიან დარეგვა; პატარძეულს, ნინო-წმიდა, საგარეჯოს, გიორგი-წმინდას ცოტ-ცოტა გადაჰკრა, მაგრამ შესამჩნევი ზარალი არ მიუცია.

მაისის 12-ს საღამოს საგარეჯოში გამობრძანდა თელავის მაზრის უფროსი თ. ნ. ჩოლოყაშვილი და თ. გ. მაყაშვილი, რამდენიმე ჩაფრით. ნ. ჩოლოყაშვილი ფიცხლად შეუდგა ცნობების შეკრებას შესახებ იმ დამნაშავეებისა, რომელთაც ამაღლების ღამეს ავაზაკებმა მოჰკლეს სოფ. რუისპირში საფრანგეთის ქვეშევრდომი ფრანცუზი ბრასსე და მრავალი ოქრო, ვერცხლი და ფულები გაიტანეს იმის სახლიდგან. როგორც გავიგეთ, ამ ფრანცუზის სახლის აკლების დროს ყოფილან ცხრანი, ექვსი ტფილისელი კინტოები და სამიც თვითონ თელაველნი, თუმცა მათი სახელი და გვარი არ იციან ჯერ-ჯერობით; მაგრამ იმედია ძალიან მალე აღმოაჩენს ისეთი ზედმიწევნითი ნიშნები აქვს ადმინისტრაციას შეკრეფილი. ქალაქელნი ავაზაკნი უგზო-უკლოთ წამოსულიყვნენ ცივ-გომბორის მთაზედ, პატარ-პატარა ხურჯინებით, რომელთაც ნივთეულობა ელაგათ. საგარეჯოს ცივზედ როდესაც მოვიდნენ, იქ შეხვდნენ მემცხვარე თუშები, რომლებსაც სთხოვეს ეჩვენებინათ საგარეჯოს გზა; თუშებსაც ჩამოეყვანათ საგარეჯოს ხეობაში და დაენებებინათ თავი. აი ამ კვალზედ შემოყვა გ. მაზრის უფროსი საგარეჯოში, სადაც აღმოჩნდნენ ზოგიერთნი პირნი, რომელთაც ენახათ ვიღაც ქალაქელი კინტოები მიმავალი ქალაქისკენ; ამათ ეკითხნათ ქალაქის გზა. ტფილისის მაზრაში ამ ავაზაკების აღმოჩენა მინდობილი აქვს სართიჭალის პრისტავს [illegible]. ნაცვალოვს, რომელიც კარგათ დახელოვნებულია ავაზაკების აღმოჩენაში. ამან აღმოაჩინა ასლამაზოვის შვილის მკვლელნი, მრავალჯერ დაიჭირა ავაზაკი გაქცეული თათრები.

13 მაისს დილით თ. ნ. ჩოლოყაშვილმა და თ. გ. მაყაშვილმა გაშინჯეს საგარეჯოს სკოლა. პირველ განყოფილების ყმაწვილებიდგან წაკითხული ლექსები „იგავ არაკიდგან“ და არითმეტიკულ კითხვებზედ სრული პასუხები ისე მოეწონა, რო ამოიღო ერთი მუჭა თეთრი ფული და ყმაწვილებს აჩუქა; აგრეთვე მეორე განყოფილებაში ყმაწვილებს ყველა საგნებიდგან ჰკითხა, ამღერებინა და ისე სასიამოვნოთ მიიღო, რო ობოლი ყმაწვილებისთვის გარდასცა მასწავლებელს ექვსი მანეთი, რათა მათ უყიდოს პარუსინა და ბლუზები შეუკეროს. მასწავლებელმა აღმოარჩია ექვსი ობოლი ყმაწვილი, რომლებსაც შეუკერეს ბლუზები. აგრეთვე კარგათ დაშინჯა საქმის წარმოება ბანკისა და დეპოსი. ამასთანავე წარმოათქმევინა თ. ჩოლოყაშვილმა ყმაწვილებს ის სიტყვა, რომელიც ჰქონდათ მომზადებული თ. დონდუკოვ-კორსაკოვის მიგებების დროს წარმოსათქმელათ. (სამწუხაროთ, ცუდის დარისა გამო, სკოლის ყმაწვილები ველარ მიაგებეს მთავარ-მმართებელს). ვისურვებთ, რომ სხვებიც ასე გულმხურვალეთ უცქეროდნენ ყველა საზოგადო სასარგებლო საქმეს და ებრალებოდეთ ობოლი მოსწავლე ყმაწვილები.

ამ დღის დილითვე მოხდა ერთი გასაკვირველი და მოულოდნელი ამბავი საგარეჯოში: ერთ გლეხს ბოგიტაშვილს გაეგო, რო მაზრის უფროსი და პრისტავი მობრძანებულაო და მივიდა სათხოვნელათ, რო დახმარებოდნენ შემდეგ საქმეებში: როგორც აღმოჩნდა გლეხის სიტყვებიდგან, ერთ ახალგაზდა მღვდელს დავით ბერძენოვს სას. სემინარიაში კურსდასრულებულს, რომელიც პირველათ ყოფილა თელავის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებელათ, შემდეგ ამისა ტფილისის კანტროლნი პალატაში მწერლათ და 1881 წელში საგარეჯოს მღვდლათ, მიუსესხებია ბოგიტაშვილისთვის ორი თუმანი ფული, თუმანი ორაბაზით თვეში. ამ დროს როცა მიცვალებული ძმა სახლში ესვენა და ზალოკათ ჩამოურთმევია კარგი მწველელი ძროხა ერთი თვით, უკეთუ ორი თუმანი და ოთხი აბაზი ერთ თვემდის არ მოუტანა, ძროხა სულიერ მამას უნდა დარჩენოდ; ძროხა თვეში თუნგ ნახევარს იწველისო ორი აბაზი მაინც ეღირებოდა რძე, ოც-და-ათი აბაზი და ოც-და-ათი აბაზი თორმეტი მანეთი თვეში და ოთხი აბაზიც 12 მან. 80 კაპ. კარგი სარგებელია? თუ ერთი ორმოცი თუმანი რაიმე ექნება ჩვენს მამას და ამ სარგებლებით ასესხა თავის მრევლზედ განსაკუთრებით როდესაც მათ ხედავს დიდ გაჭირებაში, როგორც, ბოგიტაშვილს, კარგს ჯამაგირს აიღებს, თვეში ოც-და-ხუთ თუმნამდინ!

ამ საცოდავ გლეხის კამეჩი გაეყიდნა, ორი თუმანი ეშოვნა და სარგებელიც ოთხი აბაზი მიეტანა ათი დღის შემდეგ, მაგრამ სულიერ მამას არ მიელო ფული, ერთი თვე უნდა მყვანდეს ძროხაო. ამაზედ თხოულობდა მაზრის უფროსის შემწეობას.

როდესაც აუხსნეს, რომ ეს თელავის მაზრის უფროსიაო, წავიდა დაღონებული. არ ვიცი როგორღა გაათავა საქმე მოძღვართან.

ამისთანა მღვდელზედ რა სიყვარული უნდა ჰქონდეს ხალხსა და რა მოძღვრულ შემწეობას უნდა გამოელოდეს მისგან.

ამაზე მღვდელზედ მიამბეს, რომელ გლეხთანაც წავა სახლის გასანათლთან მოსანათლათ, უსათუოთ თან დაჰყავს მთავარ, დიაკვანი, და სტაროსტა. წარმოიდგინეთ ამ ოთხი სულის დახვედრა და ხარჯი ამ გაჭირებულ ცხოვრებაში. გლეხი სვინიდისიანია, იღებს ვალს და უსადილ-ვახშმოთ არ უშვებს და ეს დალოცვილებიც რაკი გადაჰკრამენ, აღგომას აღარ მოიგონებენ, მღვდელი მოაყოლებს პირველს სიმღერას. მთავარი მოძახილს, და დიაკვანი და სტარასტა ბანს. ერთი სიტყვით მთელი ორკესტრი თან ახლავს მამა ბერძენოვს.

ასეთივე ჰყავს ამ დალოცვილს მოძღვარს სიმამრიც მღ. ნ. ნ., რომლის მოქმედებაც შარშანწინ რამდენჯერმე სწერეს „დროებაში“ და შემდეგ ნამესტნიკსაც მიართვეს არზა. ნამესტნიკმაც გარდასცა ეკზარხოსს გამოსაძიებლათ.

ა. კავთელი.

# უცხოეთი

(გაზეთებიდან)

**იტალია.** მოგვყავს უცხო ქვეყნის გაზეთებიდამ ზოგიერთი ამბები გარიბალდის გარდაცვალების თაობაზედ:

გარიბალდი გარდაიცვალა 21 მაისს, საღამოს მეშვიდე საათზე. ამ დროს იმასთან იმყოფებოდა იმის უფროსი ვაჟი მენოტტი.

მივიდა თუ არა ეს ამბავი რომში, ყველა იქაური თეატრები სამის დღის განმავლობაში თავის ნებით დაიკეტნენ. იტალიის პარლამენტს ჰქონია სჯა იმაზედ, რომ, მიცვალებულის პატივის-ცემის ნიშნად, იმის გვამი სახელმწიფო ხარჯით დაემარხოთო. იმ დღეს პარლამენტის სხდომაც დაიხურა. ყველა დეპუტატები და სენატორები უნდა დაესწრონ იმის დასაფლავებას რომში. რომის პრეფექტმა (ღუბერნატორმა) დიდის სამგლოვიარო აფიშებით გამოუცხადა ხალხს გარიბალდის მიცვალების ამბავი და იტალიის ერის მწუხარება. იმ წამსვე ყველა დუქნები და მაღაზიები დაკეტეს. ამბობენ, გარიბალდის პანტეონში დაასაფლავებენ ვიქტორ ემანუელს გვერდითაო.

გარიბალდის დაუდგია ანდერძი, რომელშიაც, ამბობენ, სხვათა შორის გამოცხადებულია იმის სურვილი, რომ იმის გვამი დასწვან და დარჩენილი ფერფლი კაპრერის კუნძულზე დაასაფლავონ.

გარიბალდის მიცვალების მეორე დღეს იტალიის სამინისტროს თავსმჯდომარემ შეიტანა შემდეგი წინადადება ნაციონალურ კრებაში, რო-

---

ძნელად შეჰხვდებით ისეთ ნომერს, რომელშიაც რამდენიც ფურცელია, იმდენი ერთმანეთის მოწინააღმდეგე აზრი არ იყოს. ამათში რომელი ეკუთვნის რედაქციას და რომელი სხვას, ხომ ვერ გაიგებთ. ყველა თავისთვის, თავისებურად მღერის თავის ხანგზედ. ორი კაცი არ არის, რომ ორს დღეს ერთსა და იმავე გზას ადგნენ. დღეს ევროპიდგან მოიტანს გაზეთი ამბავს: „ევროპაში რაღაც ჩურჩურიაო“. აქ მაშინვე ყველა მწერალი საკუთარს საბუთს იპოვის, რომ აუცილებელია ეხლა ევროპაში ომიო; ხვალ გაიგონებენ, ეხუმრობდითო; ესენიც თავ-თავის საბუთს წარადგენენ, რის გამოც ეხლა შეუძლებელია ომის ატეხა ევროპაში. დღეს ვინმე [illegible] ქალების ფუჭათ ცხოვრებას: [illegible] ყველა მწერალს საკუთარი მოსაზრება აქვს ამის თაობაზედ წარმოთქმული. ერთი გაიძახის: ისიც ბევრია რაც მოგეცითო; თუ გინდათ თქვენ თითონ დაიჭირეთო; მეორე უპასუხებს: ჩვენც მშივრები ვიხოცებით და თქვენ რა გაგიყოთო. შემდეგ ასტყდება ალიაქოთი. ახლა ადგებიან ისტორიკოსები და ჩვენის ეხლანდელის ქალების სიკარგეს და სიავეს ადამ და ევის სიკარგის და სიავისაგან გამოიყვანენ. აი, გაიგონეს საიდღამაც „პატრიოტი“. ახლა ამაზედ მოჰყვებიან,—არა, პატრიოტი როგორ შეიძლება იყოსო, თუ „შრომის“ რედაქციის განათლება არ მიიღოვო; მეორე უპასუხებს, ძალიან მოსალოდნელიაო, რადგანაც პატრიოტი უფრო წინ ყოფილა, სანამ თქვენი „შრომაო“. ამაზედ ლაპარაკს ხომ საზღვარი აღარა აქვს; მიდის და მიდის რიხრიხით სტატიები.

ვის რა დავი აქვს, თუ მკითხველს ყველა ამეებით თავ-ბრუ ეხვევა? ვის რა დავი აქვს, თუ მათ რედაქციებს გარედ რა ხდება,—თუ პროვინციებში მხეცებზედ აღარ ნადირობენ და ახლა ადამიანებზედ იწყეს; ამათ არა უშავთ-რა, ესენი ყოველ თვეობით შენობენო! ვის რა დავი აქვს, თუ მსაჯული, მოხელე, ადვოკატი თუ ვინ გინდა ყველა დამობილებულია ეს რა სალიტერატურო საქმეა, ან რა ხელს მისცემთ რომ ყველა გაზეთებმა და ჟურნალებმა ერთ-ხმად იბრძოლონ ამისთვის! ია არა სჯობია, ემანციპაციაზედ, გუმანიზმზედ იმასლაათონ! ერთმანეთს უძახონ „ყურდიდა“, მყეფავი, „მეძებარი“ და „მწევარი!“ . . . . მაგრამ რომ გავყევე, შორს წავა. სჯობს სხვაზედ გადავხტე.

ყველა ეს მოსაზრებანი მათქმევინა „შრომას“ მეფელტონეა გ ბოსლეველმა თავისის საუმარით ჟურნალ „იმედზედ.“ რაც არის ეს ჟურნალი, ხომ არის, და რაც არ არის, ეს „შრომის“ მეფელტონეს მოსთხოვეთ. ბოსლეველის ფელტონი რომ წაიკითხოს ვინმე ფსიხიატრმა, სწორედ „იმედის რედაქციაში წავა თავის მასალისთვის, და რომ იქ ვერას იპოვის სათავისოსა, უეჭველია, თვით ბოსლეველს მიჰმართავს.

ჭონი.

(დასასრული ხვალ)

მელიც ერთხმად მიიღეს დეპუტატებმა:

ორი თვის განმავლობაში პალატამ იგლოვოს გარიბალდის მიცვალების გამო; იმის გვამი სახელმწიფო ხარჯით დაიმარხოს; აუგონ იმას ძეგლი და ამისათვის ახლავე გამართონ მთელს იტალიაში ხელის-მოწერა; მიცვალებულის ქვრივს და შვილებს თითოეულს დაენიშნოს წელიწადში 10,000 ფრანკი (3,500 მანეთამდინ) პენსია და სხვ.

**საფრანგეთი.** საფრანგეთის ნაციონალურ კრებამაც, შეიტყო თუ არა გარიბალდის მიცვალების ამბავი, დეპუტატების ლანჟესანისა და ბარილიონეს წინადადებით, გარდაწყვიტა, რომ მგლოვიარობის ნიშნად, დახურონ თავის სხდომა.

— პარიჟში შესდგა საზოგადოება რუსეთიდამ გამოქცეულ ებრაელების დასახმარებლად. ამ საზოგადოების თავსმჯდომარედ ამორჩეულია ვიქტორ ჰიუგო, წევრებად, სხვათა შორის, არიან: გამბეტა, რენანი, ლესეპსი, ლაბულე, პელტანი და ბევრი სხვა გამოჩენილი პირები.

---

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.

---

# განცხადებანი


## ტფ. სავაჭრო გამგეობისაგან

ამა 6-ს ივნისს 1882 წ. 10 საათზე დილით, ტფილისის ქალაქის რჩევის ზალაში, დანიშნულია საზოგადო **კრება ტფილისის ვაჭართა საზოგადოებისა** ამოსარჩევად ობლების სამზრუნველო სასამართლო წევრისა და იმის კანდიდატისა, აგრეთვე იქნება გარჩევა სხვა-და-სხვა საქმეთა შესახებ ვაჭართა საზოგადოებისა.

გაცნობებთ რა ამას გ.გ. ტფილისის ვაჭრებს და იმ პირთ, რომელთაც აქვთ უფლება ამორჩევებში მონაწილეობის მიღებისა, სავაჭრო მმართველება (კუპეჩესკაია უპრავა) უმორჩილესად სთხოვს იმათ, დანიშნულს დროზედ მობრძანდნენ ქალაქის რჩევის ზალაში.

გაფრთხილებთ ამასთანავე, რომ ვინც მოვალეა დაესწრნენ საზოგადო ყრილობას და არ მოვლენ, მათ გარდახდებათ ჯარიმა, რომელიც დადგენილია 1436 მუხლით „დასჯათა დებულობის“ ძალით. (2—1)

---

**კერძო სასწავლებელი კლიუჩარევისა და ზაგუმენაგოსი (ადრინდელი ტერ-აკოფოვისა)** ამ თავითვე იღებს ყმაწვილებს, რომელთაც არ იციან ან თუ იციან ცოტათ რუსული ენა, ამ ენაზედ ვარჯიშობისათვის და პირველ დაწყებათი სწავლისათვისაც.

ადრესი სასწავლებლისა: სოლოლაკი, ბაღის ქუჩა № 38 (6—5)

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**თამარ დედოფალი**

შედგენილი

კ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

**ფასი ერთი აბაზი.**

---

## ისყიდება

თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად-გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).**

**сост. Д. П. Пурцеладзе.**

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

**ფასი ერთი მანეთი**

---

# გოგირდი

ყურძნის ავთმყოფობის ნაცრის მოსარჩენი წამალი ისყიდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში (ალექსანდროვის ბაღში) ფუთი 2 მან. 50 კაპ.; კახეთში ისყიდება სოფელს ვაჩნაძიანში თ. ვლ. ჯანდიერისას, ფუთი 3 მან.

საბერველი, გოგირდის მოსაყრელად ვაზზედ, ისყიდება თითო 1 მანეთად. (5—5)

---

ვამლევ დღიურად და თვეობით იაფათ მებლიროვან ოთახებს, სახელად

## „ლივადია“.

გოლოვინის პროსპექტზედ. (20—4)

---

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

**ივან-არაკნი**

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

---

ბოლგარულ-ინგლისური გუთანი ვარდისა მს... ... იწერონ თ. ... ... მელიც არის აგენტი ბ. გოგარდის. კანტორა პეპინოვისა არის ტფილისის ქალაქში, არწრუნის სახლში, ... ტოვის ქუჩაში. (6—5)

---

## ტაქსი

სავაჭრო ხორაგეულებათ, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, ... ნებში და დატარებით 1 ივნისიდ... 15 ივნისამდის.

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილ... | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5... |
| მეორის „ | —1 გირ. | 3... |
| მესამის „ | —1 გირ. | — |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარ... | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 |
| ჯვარის-მამის პური: | | |
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6... |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5... |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 5 |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 10 |
| მეორის „ | —1 გირ. | 8 |
| სუკი — — | —1 გირ. | 15 |
| ცხვრის ხორცი | — 1 გირ. | 10 |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | -- |
| მეორის „ | —1 გირ. | — |

---

ფაბრიკა

# ძმათა ბუხთა ვარშავაში

## ფურცლებისა, მავთულებისა და სხვა-და-სხვა ხელოვნებისა.

**ახალი ვერცხლისა** (მელქიორისა, ალფენიდისა) მივაქცევ თქვენს ყურადღებას ფურცლებზე, მავთულებზე და სუფრის მოწყობილობაზე (პრიბორზე): კოვზებზე, ჩანგლებზე, დანებზე, სუფრის და ჩაის დესერტის ხონჩებზე (ბლუდებზე), სამოვრებზე, პოდნოსებზე, ჩაინიკებზე, ყავადნებზე, სტაქნის დასადგმელებზე, სუდოკებზე, კალათებზე და სხვა **შინაურს და საეკლესიო საგნებზე**: კანკელებზე ბარძიმ-ფეშხუმზე, სალუცხლურზე, შანდლებზე, და სხვათა საეკლესიო ნივთებზედ.

გარდა ამისა არის კიდევ სხვა სახლის **მშვენიერი მოწყობილებანი**: ლიუსტრები, ხილის და შამფანსკისათვის ვაზები, ეტაჟერკები, სარკეები, სუ...რები, ბაკალები, სანიცრეები და სხვ.

ეს ფირმა არსებობს 1809 წლიდამ და განთქმულია თავის მძლღოლ... რიგიანის ხელოვნებით. მყიდველთ შეუძლიანთ მიმართონ შემდეგ განყოფილებებში:

1) პეტერბურღში, ნევის ქუჩაზედ № 26 ყაზანის სობოროს პირდაპირ,
2) მოსკოვში, ნიკოლსკის ქუჩაზე, შერემეტიევის სახლებში,
3) მოსკოვის გამოფენაზე მე-VI განყოფილებაში,
4) ნიჟნი ნოვგოროდის ოქრომჭედლების რიგში, № 30.

პრეის-კურანტი და ფურცლების ნიმუშები მუქთათ მყიდველთ გაეგზავნებათ.

ფაბრიკა ეძიებს აგენტებს რეკომენდაციით. (12—2)

---

# „საფრანგეთის“ სასტუმრო

ადრინდელი

## „ლივადია“

**პატრონი ედ. კუნეშელ**

ოთახები 80 კაპეიკიდამ 3 მანეთამდინ.

სადილები, 1 მან.: არაყი, საუზმე, 3 თავი სადილი, ½ ბოთლი ღვინო და ყავა. ოთხ-აბაზიანი სადილი: იგივე, მხოლოდ ულვინოდ და უყავოდ.

**სადილები პორციებათაც**

**ბილლიარდი, ამ სასტუმროშივე კლუბია.** (5—3)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 Іюня 1882 г. Типографія Меликова გამომცემელი ს. მესხიშვილი, რედაქტორი ს. მესხ...